

ლერი ჯიბლაძე, ბიძინა მურვანიძე, გიორგი ჩუბინიშვილი

გულეიკარის ნამოსახლარი

BP-საქართველოს კომპანიასთან დადებული კონტრაქტის თანახმად ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგის კვლევის ცენტრის ექსპედიცია 2006 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ბაქო-სუფსის ნათობსადენის ტრასის გაყვანასთან დაკავშირებით არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. გულეიკარში,¹ „ნაეკლესიარის“ სახელით ცნობილ ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლარზე. ეს ძეგლი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 1.5 კმ. მანძილზე, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე, ნამარნუს ცნობილ ბორცვ-ნამოსახლართა სისტემიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 3.5 კმ-ზე [პაპუაშვილი რ, პაპუაშვილი ნ. 2006:59] (ტაბ. I-1). სამოსახლო ბორცვის სიმაღლე, მის ირგვლივ განფენილ ვაკე ტერიტორიიდან 1.5-1.75 მ-ია, ხოლო რადიუსი მერყეობდა NS-45 მ. და OW-47 მ. შორის [ჩუბინიშვილი 2006]. გუმუბას ირგვლივ შემოუყვება კარგად გამოკვეთილი სადრენაჟო თუ თავდაცვითი დანიშნულების 6-7 მ-ის სიგანის ძველი ნაარხალი (თხრილი), რომელიც ამჟამად მიწითაა შევსებული. აღმოსავლეთი და სამხრეთის მხრიდან არხის გარეთ მდებარე ტერიტორიაზე კარგად იკვეთება შემაღლებული ადგილები, რომლებიც სადაზვერვო თხრილებით არ მოსინჯულა. აქ სავარაუდოდ, შედარებით მოგვიანო პერიოდის (ადრეანტიკური) დასახლებები უნდა იყოს გამართული. ასეთი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს როგორც მათი კონფიგურაცია, ასევე კოლხეთის დაბლობის ანალოგიურ ბრინჯაო-ადრერკინის ხანის დიხა-გუმუბათა სიტემებზე თვალის გადევნება, სადაც ხშირად ცენტრალური ბორცვის გარშემო განლაგებულ შემაღლებულ ტერიტორიაზე უფრო გვიანი ხანის სამოსახლოებია განფენილი.

გულეიკარის ნამოსახლარზე სტაციონარული გათხრითი სამუშაოების დაწყებას წინ უსწრებდა ჯერ კიდევ 1999 წ. ბორცვის

¹ არქეოლოგიური ექსპედიცია დაკომპლექტებული იყო ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებით: ნიკოლოზ ჩუბინიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), გელა გობეჯიშვილი (ზენეჯერი), გურამ ყიფანი, დოდო ტურიაშვილი (არქეოლოგები) და ელეონორა სახვაძე (მხატვარი). სტატიაში წარმოდგენილი საველე გეგმებისა და ტაბულების ჩანახატები შეასრულა ელეონორა სახვაძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

ჩრდილოეთ მონაკვეთში, ბაქო-სუფსის ნავთობსადენისათვის გაჭრილ თხრილში, გამოვლენილი არხის ნაწილი. ასევე მისი მიმდებარე ტერიტორიაზე, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 2 მ. სიღრმეში აღმოჩენილი, 0.6 მ. სიმძლავრის, ძვ.წ. VI-V სს-ების კულტურული ფენის ნაშთები [ჰაპუაშვილი 1999:99]. აქედან გამომდინარე, ეს ძეგლი მოექცა მშენებლობის ზონაში და დაიგეგმა არქეოლოგიური სამუშაოების ნარმოება.

2006 წელს გულეიკარის ბორცვზე ჩატარებული მოკლევადი-ანი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი იქნა საყურადღებო ნივთიერი მასალა.² სამწუხაროდ, უსახსრობის გამო შემდგომში ძეგლზე გათხრების გაგრძელება ვერ მოხერხდა.

შესასწავლი ფართობი დაყოფილი იქნა ოთხ სექტორად, რომელიც თავის მხრივ დაიქსელა 2X2 მ-ზე კვადრატებად (ტაბ.II). ბორცვის პერიფერიიდან ცენტრის მიმართულებით გაიჭრა 14X8 მ-ის საკონტროლო თხრილი, რომელმაც გაფართოვების შემდეგ მიიღო ცენტრალური თხრილის სახელწოდება. გათხრების დასასრულს, თხრილის საერთო შესასწავლილმა ფართობმა 1000 მ² შეადგინა. სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით გავლებულ იქნა ორი საკონტროლო თხრილი, რომელმაც ცხადყო ორი სამშენებლო პორიზონტისაგან შემდგარი წინაანტიკური ხანის კულტურული ფენა. მათ შორის განვითარებული იყო ბათქაშების, ნახშირებისა და მონაზვინი თიხნარის შემცველი 0.6-0.7 მ. სიმძლავრის შრები.

დიხა-გუძუბაზე ყველაზე ინფორმაციული აღმოჩნდა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გავლებული მესამე საკონტროლო თხრილი. მიწის დაღრმავებისას დაახლოვებით 0.5-0.6 მ-ის სიღრმეზე მოყვითალო-მომწვანო თიხნარში, სპორადულად ჩნდებოდა რიყის ქვები (ტაბ. IV-1,2), რომელმაც დაახლოებით 1.15 მ. სიღრმეზეც იჩინა თავი. გამოიკვეთა პორიზონტალურად განვითარებული სხვადასხვა ზომის რიყის ქვები, რომლებიც ზოგიერთ მონაკვეთში გროვების შთაბეჭდილებას ტოვებდა და მათი ძირი 2 მ. სიღრმემდე ვრცელდებოდა. იგი ზემოდან გადაფარული იყო მონაზვინი სტერილური მიწით, რომლის თავზე გადადიოდა ნახშიროვანი შრები. საინტერესოა, რომ ზოგიერთ მონაკვეთში მიწის დადაბლებისას მონაზვინ ფენასთან ერთად ნაცროვანი შრეები ერთმანეთთან რამდენჯერმე ურთიერთმონაცვლეობდა და ებჯინებოდა მათ ქვეშ განვითარებულ რიყის ქვებს.

² აღსანიშნავია, რომ სოფ. გულეიკარში არსებული ძეგლები მათ შორის „ნაეკლე-სიარი“ გასული საუკუნის 40-ან ნებებში შედგენილ „კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების რუსულზე“ პირველად მოხსენიებული აქვს ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ბ. გოგოლიშვილს.

ამრიგად, გულეიკარის ნამოსახლარზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი და ქრონოლოგიური პერიოდები დადასტურდა: 1. ჰუმუსური ფენა; 2. გვიანბრინჯაოს ხანა (ძვ. კოლხური I ეტაპი) წარმოდგენილი იყო კულტურული ფენის გარეშე, ძირითადად ბორცვის თხემზე და სხვადასხვა სიღრმეზე მონაზვინ ნაყარ მიწაში. აյ უფრო ადრეული ნაოხვამუს ქვედა და შუა ფენებისთვის დამახასიათებელი კერამიკული მასალა ერთ დონეზე შერეული სახით გვხვდებოდა უფრო მოგვიანო პერიოდის, წინაანტიკური ხანის თიხის ნაწარმთან. ვფიქრობთ, ამ ფაქტს შესაძლოა მოეძებნოს ორნაირი ახსნა: როგორც ჩანს, ძვ. კოლხური I ეტაპის მასალები ძეგლზე მოხვდა უფრო მოგვიანო პერიოდის მაცხოვრებლების მიერ დასახლების პერიოდული განახლებისას. კერძოდ, საცხოვრებელი ნაგებობის გასამართავად საჭირო მიწის მოზვინვისა და მისი ნიველირებისას. ამ შემთხვევაში უფრო ნათელი წარმოდგენის შექმნისათვის ასახსნელია, თუ საიდან მოქონდათ გუშუბას მობინადრეებს მოსაზვინად საჭირო მიწა: იქვე ახლოს მდებარე დანგრეული, მიტოვებული ნამოსახლარიდან, თუ გულეიკარის ბორცვის სულ ქვედა დონეზე, რომლის მხოლოდ მცირე მონაკვეთი გაითხარა, არსებობდა უფრო ადრეული, გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა. თითქოსდა ამის გარკვეულ საფუძველს უნდა გვაძლევდეს ბორცვის სულ ქვედა ჰორიზონტზე გამოვლენილი ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი დეკორით შემკული კერამიკის ფრაგმენტები. ამ ვერსიასთან ერთად არ გამოვრიცხავთ, რომ წინაანტიკურ ხანაში აյ სახლდებიან უფრო ადრეულ მიტოვებულ ნამოსახლარზე. შემდგომში კი სინესტისაგან თავის დაცვის მიზნით ბორცვს ამაღლებენ და ნაგებობებს ანახლებენ. ამისთვის კი შორს არ მიდიან და დროდადრო მოსაზვინად საჭირო მიწას იქვე, გუშუბას პერიფერიულ ნაწილში ჭრიან. ისე, რომ ამ ფაქტმა მათი საცხოვრებელი პირობების უფრო გაუარესება და მეტი ნესტიანობა არ გამოიწვიოს. ამ ვარაუდის გამოთქმისას გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ბორცვის მხოლოდ მცირე მონაკვეთია შესწავლილი და ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

3. ადრეანტიკური ჰერიოდი საკუთრივ გულეიკარის ნამოსახლარზე არ გამოვლენილა. როგორც აღინიშნა, ამ პერიოდის სამოსახლოს ნაშთები აღმოჩნდა ბორცვის ჩრდილოეთით, ძირითადად ადგილობრივი და ბერძეული კერამიკული ნაწარმის შემცველი კულტურული ფენის სახით.

4. წინაანტიკური ხანის (ძვ.წ. VIII-VII სს-ების) კულტურული ფენა წარმოდგენილი იყო ორი სამშენებლო ჰორიზონტით, რომ-

ლებიც ერთმანეთისაგან გამიჯვული იყო მოყვითალო ფერის სტერილური მიწით. შიგადაშიგ კი მასალების შემცველი მონაზვინი ნაყარი მიწითაც.

საინტერესოა, რომ პირველ საკონტროლო თხრილში 2.50 მ. სიღრმეზე, აღმოსავლეთიდან-ჩრდილოეთის მიმართულებით გამოიკვეთა ბორცვის პირველი მაცხოვრებლების მიერ 4-4.5 მ. სიგანისა და დაახლოვებით 1.20 მ. სიღრმის თავდაპირველად გავლებული არხის კონტურები (ი ნერტილიდან არხის ძირი განვითნილი იყო 2.90 მ. სიღრმეზე). სავარაუდოდ, პირვანდელი დასახლების საერთო ფართობი მოიცავდა დაახლოვებით 20 მ², რომელზედაც შემოვლებული უნდა ყოფილიყო შემორჩენილი არხის ნაწილი.

გულეიკარის ნამოსახლარზე, რომლის სიმაღლე მის ირგვლივ განვითნილი ტერიტორიიდან 1.75 მ. აღწევდა, კერამიკული მასალების შემცველი კულტურული ფენა ვრცელდებოდა ბორცვის ზედაპირიდან 2.50 მ-ზე სიღრმეზე. ზოგიერთ შემთხვევაში თიხის ნაზარში 2.90 მ. სიღრმეზეც გამოვლინდა, რომელიც აღბათ შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი ზემოდ მდებარე კულტურული ფენიდან. როგორც ვხედავთ, ბორცვის თავდაპირველი სიმაღლე მიწის სიღრმეში გამოვლენილი კულტურული ფენის განვითნილობის ჩათვლით, ჭარბობს გათხრების დასაწყისში დაფიქსირებულ ამ მონაცემებს. ამ შემთხვევაში უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გულეიკარის ბორცვი თავდაპირველად უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო (ვგულისხმობთ ცხოვრების შეწყვეტის შემდგომ ხანას). შემდეგ კი სავარაუდოდ კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი, არამყარი გრუნტული ნიადაგის გამო, ადგილი უნდა ქონოდა მიწის სიღრმეში ბორცვის თანდათანობით ჩაწევას.

სავარაუდოდ, დიხა გუჭუბას პირველი მაცხოვრებლები სამოსახლოს მართავენ შედარებით შემაღლებულ ადგილზე. შემდეგ ხდება მოჭრილი მიწის დაზვინვა, რომლის ზემოდ განვითნილ მონაცრისფრო თიხნარ ნიადაგში, სადაც კულტურული ნაშთები არ გვხვდება, დასტურდება დაუმნვარი ძელები. ეს ფაქტი გვარაუდებინებს, რომ ყოველივე ეს საცხოვრებელი ადგილის ერთგვარ მომზადებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მის ზემოდ კი, სპეციალურად შექმნილ ძელებიან მოზვინულ და მოტკეპნილ ბაქანზე ი ნერტილიდან 2.50 მ. სიღრმეზე, გამართული იყო I სამშენებლო პორიზონტი. შემდეგ კი უფრო დაბლა იწყებოდა მონაცრისფრო-მორუხო თიხნარი („ლეკი“) მიწა, რომელიც კოლხეთის დაბლობის ნიადაგისათვის გრუნტს წარმოადგენს.

გულეიკარი არ არის განმხოლოებით მდებარე ბორცვ-ნამოსახლარი. მის ჩრდილოეთ მონაკვეთში გამოვლენილი საკმაოდ

მძღავრი ადრეანტიკური ხანის დასახლება, დიდი ალბათობით უნდა შედიოდეს ამ ნამოსახლართა სისტემაში. შესაძლოა გულეი-კარის „ნაეკლესიარი“ მის ირგლივ განლაგებული ადრეანტიკური ხანის სამოსახლოებისთვის წარმოადგენდა ცენტრალურ ბორცვს. ამდენად, ამ ძეგლის მაგალითი კიდევ ერთხელ უნდა ამყარებდეს ადრე გამოთქმულ ვარაუდს, რომლის მიხედვით კოლხეთის დაბლობზე ცენტრალური ბორცვის გარშემო განლაგებული კომპლექსები უნდა მიუთითებდეს გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ დიფერენციაზე, დანინაურებული გვარის დაარჩენთავან გამოყოფის ტენდეციაზე [ლორთქიფანიძე 1986:66].

სავარაუდოდ, გულეიკარის წინარე და ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი არ წარმოადგენდა იზოლირებულს გარე სამყარო-დან და თანადროულ პერიოდში ერთგვარ კონტაქტში უნდა ყოფილიყო იქვე ახლოს მდებარე სინქრონული ხანის სამოსახლოებთან. იქნებ ეს ძეგლი აღნიშნულ პერიოდებში შედიოდა ნამარნუს ნამოსახლართა სივრცეში. შესაძლოა, ნამარნუ წინაანტიკურ და ადრეანტიკურ ხანაში წარმოადგენდა პოლიტიკურ და ჰეგემონ ცენტრს, რომლის ორბიტაში სავარაუდოდ მოქცეული უნდა ყოფილიყო მდ. ფიჩორის შუა წელისა და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული გულეიკარის მსგავსი სატილიტი ბორცვ-ნამოსახლარები.³ კოლხეთის დაბლობზე ეს ის პერიოდია, როდესაც მოსახლეობის გამრავლების შედეგად იზრდება ნამოსახლართა მაშტაბები, ხდება მაღალი ბორცვის მიმდებარე ტერიტორიების სამოსახლოდ ათვისება. ვფიქრობთ, გულეიკარის „ნაეკლესიარზე“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვეონდეს საქმე. ძნელი სათქმელია შემდგომში რა პროცესებში განაპირობეს ძეგლზე ცხოვრების შეწყვეტა და მისი მიმდებარე ტერიტორიების სამოსახლოდ

³ მდ. ფიჩორის მარჯვენა სანაპიროზე და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე განლაგებულია ძ. გ. შ.-I ათასნლეულების მთელი რიგი ნამოსახლარები: მათ შორის გამოირჩევა ნამარნუ („შუამდაღა“), რომელიც მიკვლეული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებოარქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია), სადაც 1971 წელს გაივლო საცდელი თხრილები და გამოიყო 7 კულტურული ფენა [გრიგოლია და სხვ. 1972:30; გრიგოლია 1973:50-58]. ამ ძეგლს 1980-1984, 1986-1987 წწ. სწავლობდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმ. თ. მიქელაძე) [მიკელაძე დ. ძ. 1982:34; 1987:39; 1991:59; პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი თ. პაპუაშვილი] [Mikheilashvili et al. 1982:34; 1987:39; 1991:59; Papua Shvili R; Papua Shvili T. Papua Shvili]. გამოიყო ხუთი კულტურული ფენა, რომელიც მოიცავდა ძ. გ. გ. II ათასნლეულის მეორე ნახევარს – ადრეანტიკური ხანის ჩათვლით [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი თ. 2006:56-57].

ათვისება. შესაძლოა იგი დაკავშირებული იყოს მოსახლეობის გამრავლებასთან, ანდა ბორცვმა მართლაც დაკარგა სამოსახლო ფუნქცია და გადაიქცა საკულტო-რელიგიურ და თავდაცვითი თავშეყრის ადგილად [აფაქიძე 2001:136; ჯიბლაძე; პაპუაშვილი 2007:117].

სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთის ზოგიერთი ნამოსახლარის მაგალითზე ვარაუდობენ, რომ ადრერკინის ხანაში ჩნდება თვისობრივად ახალი, განსხვავებული დაბური ტიპის დასახლებები თავის უპირატესობითა და სახელოსნოებით [სახუტაიშვილი 6. 1986:96]. ჩვენთვის ეს მოდელი მისაღებია მდ. ფიჩირისა და მდ. რიონის შუა წელზე, სოფ. გულეიკარისა და სოფ. კეთილარის მიდამო-ებში კონცენტრირებული გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და კლასიკური ხანის ნამოსახლარებთან მიმართებაში (ნამარნუს „შუამაღალა“, ჩრდილოეთი და სამხრეთი ბორცვები; გულეიკარის „ნაეკლესიარი“ და ნაოხვამუ; სოფ. კეთილარის სასაფლაო და „ნაეკლესიარი“, ანჯერი I, ანჯერი II) [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი 6. 2006: ტაბ. XXII] (ტაბ. I-2). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი არ გათხრილა, მაგრამ მაინც მოსალოდნელია ამ პერიოდის ფენების აღმოჩენაც.

გულეიკარის ნამოსახლარის განათხარი ფართობის თითქმის ყველა დონეზე აღმოჩნდა დანახშირებული ძელების ფრაგმენტები, ნახშიროვანი ლაქები და მათთან ერთად არეული და ზემოდან დაფენილი ბათქაშები. ზოგჯერ ამ ელემენტებთან ერთად ერთ დონეზე წარმოდგენილი იყო სხვადასხა ზომის რიყის ქვები. ხშირად დასტურდებოდა ნახშიროვან შრეებში შერეული მომწვანო-მოყვითალო ფერის მონაზვინი მინა, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს ახალი ნაგებობის აგების, ან მისი განახლების პროცესებს. იშვიათად ნახშიროვანი ლაქებით იხაზებოდა გარკვეული კონტურები, მაგრამ რაიმე ხის შენობის შეკვრაზე, მის ზომებსა და სხვა დეტალებზე საუბარი ძნელია. თუმცა ეს ელემენტები არასრულ, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას მაიხც გვიქმნის გულეიკარის „ნაეკლესიარზე“ არსებულ ნაგებობათა ტიპებსა და სამშენებლო ტექნიკაზე.

კოლხეთის დაბლობის სხვა, ბრინჯაო-ადრერკინის ნამოსახლარების მსგავსად გულეიკარის ნაეკლესიარზე გავრცელებული უნდა ყოფილიყო უფრო მსუბუქი კონსტრუქციის მქონე ჯარგვალური ტიპის ნაგებობები, რომლებიც როგორც შიდა, ასევე გარე მხრიდან სითბოს უკეთ შენარჩუნების მიზნით თიხით ილესებოდა. ბათქაშების ფრაგმენტებზე შემორჩენილი ხის ტოტების წნულის ანაბეჭდების მიხედვით, ჯარგვალური

ტიპის ნაგებობასთან ერთად გულეიკარის ბორცვზე დასახვებად მიგვაჩინია ორივე მხრიდან თიხით შეღესილი, წრიული ფორმის, წნულკედლიანი, ფაცხის მაგვარი ნაგებობების არსებობა. საინ-ტერესოა, რომ ორივე ტიპის ნაგებობები დასტურდება საქართველოს, კონკრეტულად კი კოლხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში [ადამია 1979:27-50; ჩიქოვანი 1999:211-222].

როგორც მოვიხსენიეთ, გულეიკარის ნასახლარზე გარკვეულ ადგილებში გეხვდებოდა კომპაქტურად თავმოყრილი მდინარისეული წარმოშობის სხვადასხვა ზომის რიყის ქვები. უნდა ვივარაუდოთ, მათი მონაწილეობა სამშენებლო ტექნიკაში. როგორც ჩანს, სიმშრალის შენარჩუნებისა და სისუფთავის დაცვის მიზნით, ისინი გამოიყენებოდა შენობათა ნესტიან იატაკზე დასაგებად. წვრილი რიყის კენჭებითა და ქვარგალებით იატაკების მოკირნებულა ხშირად დასტურდება კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე (ოჩამჩირე, ფიჩორი IV, V ფენა, ნამჭედური – V ფენა, ნოსირი – I ფენა, კისტრიკი, მოქვი, აბაუზ და სხვ.) [ჯიბლაძე 2007:38-39]. საკვლევ მხარეში ამ ტრადიციის არსებობას ზოგჯერ ენაცვლება ნაგებობათა იატაკებზე დაგებული ხის ფიცრები [მუსხელიშვილი და სხვ. 2010: ტაბ.14-2; 15-1, 16-3].

გულეიკარის ნამოსახლარზე შენობათა იატაკის მოპირკეთებასთან ერთად, რიყის ქვები სავარაუდოდ, გამოიყენებოდა მონაზვინი მიწის შესამავრებლად. კერძოდ, ქვებს მიზნობრივად ერთ დონეზე ჰიროზონტალურად აწყობდენ, შემდეგ კი მიწას აზვინავდენ. ეს ერთგვარი ხერხი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ კოლხეთის დაბლობის არამყარი გრუნტული ნიადაგის გამო, მოზვინულ და შემდგომ მოტკეპნილ მიწაზე გამართულ ჯარგვლური ტიპის ნაგებობებს დეფორმაცია არ განეცადა. ზოგიერთ ძეგლზე, სადაც უფრო ჭაობაანი ნიადაგი იყო, ამ მიზნით გამოიყენებოდა ძელების მძლავრი ფენილები (ანაკლია II, ყულევა).

გულეიკარის ნამოსახლარის კულტურულ ფენაში შემორჩენილი დანახშირებული ძელების, ბათქაშების გროვების, შენითლებული იატაკებისა და დეფორმირებული კერამიკის აღმოჩენით იგრძნობა ძლიერი ნახანძრალის კვალი. კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე ანალოგიური ფაქტების აღმოჩენის გამო გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხის ნაგებობებს განახლების ნაცვლად სპეციალურად წვავდენ და ახალ შენობებს აგებდენ. ხშირად შემორჩენილია ჯარგვალურ ნაგებობებთან დაკავშირებული დაუმმარი ძელების ქვედა ნაწილი – საძირკველი (თიხნარი ბაქნის გამაგრებასთან დაკავშირებული ძელები) [მუსხელიშვილი

და სხვ. 2010:23]. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში შენობის ნაწილი დაინვა, ან გადატანილი იქნა სხვა ადგილზე, როგორც ეს კეთ-დებოდა არცთუ შორეულ წარსულში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე [Микеладзе 1990:17-18; 1994:67].

საკვლევ მხარეში ნახანძრალი-გადამწვარი ფენები უფრო მეტად შეინიშნება ნინაანტიკური ხანის ნამოსახლარებზე (ძვ.წ. X-VIII სა-ები). სავარაუდოდ, ეს ფაქტი უფრო მეტად გამოწვეული უნდა ყოფილიყო ხელოვნურად გამართულ ბორცვებზე მეზობლად მაცხოვრებელი ხალხის ერთმანეთთან ხშირი თავდასხმებით, რასაც ბუნებრივა თან სდევდა ხანძრის გაჩენა და ხშირი გადაწვები. ასეთი ახსნა უფრო ლოგიკური გვეჩენება, ვიდრე ნაგებობათა სპეციალურად გადაწვა განახლების მიზნით. ეს ის პერიოდია, როდესაც საკვლევ მხარეში იზრდება მოსახლეობა, უფრო მრავალრიცხოვანი ხდება ბრინჯაოს საბრძოლო იარაღები, რაც ნათლად ჩანს კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნების მასალების მიხედვით. ბუნებრივია, ეს იარაღები დიხა-გუძუბათა მაცხოვრებლებს უფრო მეტად სჭირდებოდათ ერთმანეთზე თავდასხმებისათვის, ანდა თავის დასაცავად.

გულეიკარის მონაპოვარ მასალათა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების კერამიკული მასალა. ისინი მიდებად ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი, რომ ძნელდება თიხის ჭურჭლის გარკვეული ჯგუფების გამოყოფა. თუმცა პროფილირებული ნიმუშების მიხედვით, მაინც ხერხდება გაიმიჯნოს ცალკეული სახეობები, სადაც ჭარბობს სამზარეულო (სუფრის) დანიშნულების თიხის ნახარმი. მათთან შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სამეურნეო დანიშნულების კერამიკა (დერგები, ქვევრები). გვხვდება ხელით ნაძერწი და ჩარხიანი კერამიკა, სადაც ჭარბობს პირველი.

გულეიკარის ნასახლარზე ტიპოლოგიური-მორფოლოგიური ნიშების მიხედვით (განსაკუთრებით ორნამეტაციის თვალსაზრისით) გამოიყოფა ქრონოლოგიურად განსხვავებული პერიოდის ძვ. კოლხური I და II ეტაპების კერამიკა.

ძვ. კოლხური I ეტაპის მასალები ძეგლზე არ იმიჯნება სტრატიგრაფიულად, კულტურულ ფენათა ურთიერთმონაცვლეობით. ისინი წარმოდგენილია ძვ. კოლხური II ეტაპის ჩარხიან კერამიკასთან ერთად კულტურული ფენის გარეშე, ძირითადად მონაზვინ, ნაყარ მიწაში. გვხვდება პირმოყრილი ჭურჭელი, რომელთაც გააჩნია მსუბუქად გამოყვანილი მუცლიანი, ოდნავ მორკალური ტანი, შიდა ნაწილისკენ ზოგჯერ გადაწეული შე-

დარებით სწორი პირით (ტაბ.V-1-11;VI-1-6); საშუალო და პატარა ზომის სწორპირიანი თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნიმუშები (ტაბ.VI-7-16); სხვადასხა ზომის ქოთნისებური მოყვანილობის ჭურჭელი, რომელიც რაოდენობრივი თვალსაზრისით დანარჩენ სახეობებს აღემატება (ტაბ.VII-1-8). ჭურჭლის ჩამოთვლილი სახე-ობები გაფორმებულია ძველი კოლხური I ეტაპისათვის დამახა-სიათებელი ღარული ორნამეტის სხვადასხვა ვარიაციებითა და მათი შერწყმით სხვა სახის ორნამენტთან. დეკორის სახეობაში გამოიყოფა ჭურჭლის ყელს ქვემოთა და კორპუსის დასაწყისში ჰორიზონტალურად შემოვლებული ფოსოები, ღარები, ნინოვანი ორნამეტი, ერთმანეთში ჩასმული წრეები და ნახევარრკალები. ასევე თიხის კორპუსზე გამოყვანილი მორჩისებური შვერილები, ფოსოების რიგები, ფესტონები, კენტად და წყვილად გადმოცე-მული კოპები (ცრუ ყურები), თაღისებური ორნამეტი და შემკობის სხვა ელემენტები.

ტიპოლოგიური-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით რამდე-ნადმე ადრეულად გამოიყურება და შესაძლოა გვიანბრინჯაოს სანას მივაკუთნოთ თიხის ნანარმის ერთი ჯგუფი. ეკრძოდ, მინ-იატურული ყურიანი, წვრილხვრელიანი ჭურჭლის გვერდის ნა-ტეხი (ტაბ.VIII-1,2); სწორპირიანი, ოდნავ ბაკო შესქელებული და დაბალყელიანი პირგვერდის ფრაგმენტი, რომელსაც თან ახლავს ირიბად დატანილი მოკლე, ასევე გრძელი ღარებით შემკული ვერტიკალური ყური და კორპუსი (ტაბ.VIII-7); დაბალყელიანი და მუხლისებურყურიანი ღარებით დაფარული თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი და ამ დეტალის გარეშე წარმოდგენილი ოვალურგანიკვეთიანი ყური, რომლის ზურგი დაფარულია ღა-რული დეკორით (ტაბ. VIII-5,6).

ტიპოლოგიურად უფრო მოვიანო ხანას (ძ.წ. VIII-VII სს-ები) განეკუთვნება შავად და ნაცრისფრად გამომწვარი, ჩარხზე დამზადებული ქოთნების პირ-გვერდის ნატეხები. ახასიათებს გადაშლილი პირები, ზოგჯერ მუცლიანებია. ყელზე და კორპუ-სის დასასწისში ჰორიზონტალურად შემოუყვება კონცენტრული ღარები და ირიბად დატანილი ნაჭდევების რიგები. ანდა ქოთნისე-ბური ფორმის ჭურჭელი ყელზე ჰორიზონტალურად შემოვლე-ბული კონცენტრული ღარებით; ჭურჭლის კორპუსზე დატანილი ვიწრო კანელურებით, ბადისებური ორნამეტით, ღარებისა და ნაჭდევების კომბინირებით გაფორმებული კერამიკა. შემკობის ეს სახე ძირითადად დამახასიათებელია ძვ. კოლხური II ეტაპის თიხის ნანარმისათვის (ტაბ. IX-1-9;X-1-13).

კერამიკის მრავალრიცხოვან ჯგუფში გამოიყოფა საშუალო ზომის ოვალურგანიკვეთიანი, ზოომორფულყურიანი თიხის ჭურ-

ჭლის პირ-გვერდის რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელს – ტოლჩებს უნდა ეკუთნოდეს (ტაბ. XII-1-8). აქვს სწორი ან მსუბუქად გადაშლილი ოდნავ შესამჩნევი პირი. ზოგიერთი მუცლიანია. ამ ტიპის ყურები ზოგჯერ გვხვდება უპროფილო ნიმუშებთან ერთად, ანდა წარმოდგენილია პირ-გვერდის გარეშე ცალკე ერთეულების სახით. კოლხეთის პარალელური მასალების გათვალისწინებით ეს ყურები ტოლჩისმაგვარი ჭურჭლის თანმხლებლად უნდა მივიჩნიოთ.

ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ზოომორფულ ყურებში ხერხდება გარკვეული დიფერენციაცის შეტანა. გვხვდება ყურები, რომლებთაც გააჩნია უფრო გამოკვეთილი, ანდა წაკლებად შესამჩნევი გვერდითი შვერილები. გამოყოფა ისეთი ნიმუშიც, რომლის ზურგის ქვედა წაწილი დაფარულია ვიწრო ღარებით, რომელიც კორპუსზეც გადადის. ზოომორფული ყურების სახეობაში შეიმჩნევა ისეთებიც, რომლებიც უფრო წაძელილი ორკაპა ხის ტოტს მოგვაგონებს. ასევე შესაძლოა გაიმიჯონს ამ ტიპის ყურების მეორე ვარიანტიც – ლილვაკისებურ დანაძერნიანი ყურები. კოლხეთის სტრატიფიცირებული ძეგლების მასალებზე დაყრდნობით, ზოომორფული ყურებში ამ ვარიანტის ნიმუშები ერთ-ერთ ყველაზე მოგვიანო ელემენტს წარმოადგენს. ისინი ძვ.კოლხური II ეტაპს კერამიკული წანარმის ერთ-ერთი წამყვანი ელემენტია და ძირითადად გავრცელებული ჩანს ადრერკინის ხანაში.

ზოომორფული ყურები გამოვლენილია გულეიკარის ნამოსახლარის ყველა დონეზე. ამდენად ამ ჯგუფის თიხის წანარმის მიხედვით არავითარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა ვერ ხერხდება. ზოომორფული ყურებიდან რამდენამე განსხვავდება ის ცალები, რომლებიც მოგვაგონებენ ხარისხბური ცხოველის თავ-კისრის სქემატურ გამოსახულებას.

წაკლებადაა გავრცელებული ჯამისებური (ფიალისებური) ფორმის ჭურჭელი, რომელთა შორის გვხვდება ძირისკენ მკვეთრად და საშუალოდ დაქანებულ კედლიანები. ამ ჯგუფის ჭურჭელში ტიპოლოგიურად უფრო ადრეულია ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი დეკორით გაფორმებული ნიმუშები როგორიცაა: პირს ქვემოდ პორიზონტალურად შემოვლებული ღარების შერწყმა სხვადასხვა ანდაზით გადმოცემულ ასეთივე ორნამეტთან, პორიზონტალურად გადმოცემული ფოსოებისა და ერთმანეთში ჩასმული წახევარრკალების კომბინირება (ტაბ. XI-3-6).

შედარებით მოგვიანო პერიოდს (ძვ. კოლხური II ეტაპი) განეკუთვნება ჯამები, რომელთაც პირს ქვემოდ პორიზონტალურად

შემოსდევს ირიბი ნაჭდევების რიგი, ან დაჭდეული პირი ახასიათებს. ასევე პირს ქვემოთ მოკლე მილისებური გადმოსახმელიანი ჯამი (ტაბ. XI-1,2,7,8).

გულეიკარის ნამოსახლარის წინაანტიკური ხანის კულტურულ ფენაში ქვის მასალა ძალზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ძეგლის ორივე პორიზონტზე დადასტურდა რამდენიმე ერთეული, შედარებით დიდი და საშუალო ზომის ფრაგმენტირებული ნავისებური ფორმის ხელსაფქვავი, რომელთაც ეტყობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გამოყენების კვალი.

ალბათ საბრძოლო დანიშნულებისათვის, მომხვდური მტრის წინააღმდეგ დისტანციური ბრძოლისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი შემორჩენილი კვერცხისებული ფორმის შურდულის ქვა (ტაბ. XIII-8). აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის იარაღები ხშირად გვხვდება პროტო- და ძეველკოლხურ ნამოსახლარებზე. მათი განსაკუთრებული სიჭარბე შეინიშნება გვიანბრინვაო-ადრერკინის ხანის კულტურულ ფენებში. სავარაუდოდ, კოლხეთში ამ პერიოდში ნამოსახლარების მაშტაბების ზრდასთან ერთად უფრო ინტენსიურ ხასიათს დებულობს გვართა თუ ტომთა შორის ურთიერთშეტკაცებები.

ნამოსახლარის I, II სამშენებლო დონეზე აღმოჩნდა საშუალო ზომის, ორივე მხრიდან გვერდებშეჭრილი რიყის ქვისგან დამზადებული ბადის ჩასაბმელი სანაფები (ტაბ. XIII-5,7). ვფიქრობთ, ბადის სანაფს ასევე უნდა უკავშირდებოდეს ნახევარსფეროსებური მოყვანილობის ბრტყელძირიანი თიხის ნივთი, რომელსაც ქვედა ნაწილში ძირთან ახლოს, გააჩნია მეორე მხარეზე ბოლომდე გამავალი გამჭოლი ხვრელი (ტაბ. XIV-1). მიუხედავად იმისა, რომ ბადის ჩასაბმელი ხვრელი არ გააჩნია, ასევე სანაფს უნდა უკავშირდებოდეს თიხის კონუსური ფორმის არტეფაქტი (ტაბ. XIII-6). ამ ფორმის სანაფები ზედა ნაწილში წყვილად დატანილი ხვრელით განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ძვ. VII-VI სს-ების დიუნურ ნამოსახლარებზე. ასევე ნამჭედურის ნამოსახლარის ადრეანტიკური ხანის სამოსახლოზე [მიკელაძე; ხახუთაშვილი 1985:34, ტაბ.20-1-9].

გულეიკარის ნამოსახლარის წინაანტიკური ხანის ფენაში აღმოჩნდა აგურისფრად გამომწვარი ბორბლისებური და კონუსური ფორმის მრგვალხვრელიანი ოთხი ერთეული თიხის კვირისტავი (ტაბ. XIV-3,4,5,6). სამ ნივთს პრაქტიკული გამოყენება უნდა ჰქონოდა. გულეიკარის ერთ-ერთი კვირისტავი მინიატურული ზომისაა (ტაბ. XIV-4). მისი კონუსური ფორმის ზედაპირი დაფარულია ვერტიკალური ღარებით. ამ მონაცე-

მების გათვალისწინებით ეს ნივთი უფრო საკულტო ხასიათის მატარებელი ჩანს, ვიდრე პრაქტიკულის. როგორც ცნობილია, ამ რიგის ნივთებს საფეიქრო საქმიანობას უკავშირებენ [რამიშვილი 1974: 142-152; კუტინ 1950: 111]. სტრატიფიცირებული ნამოსახლარების მასალების მიხედვით (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ნოსირი III და სხვ.) თუ გავადევნებთ თვალს კვირისტავების ტიპოლოგიურ განვითარებას ირკვევა, რომ კონუსური ფორმის კვირისტავები უფრო მეტად დამახასიათებელია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების კულტურული ფენებისათვის. ადრე და შუაპრინჯაოს ხანაში კი შედარებით ჭარბობს ჯერ ქვისა და შემდეგ კი თიხის მრგვალი ბორბლისებური (წისქვილისებური) ფორმის ამ რიგის ნივთები [ჯიბლაძე 2007:89]. თუმცა ეს თითქოსდა ქრონოლოგიური კანონზომიერება ზოგიერთ შემთხვევაში ირკვევა. მხედველობაში გვაქვს კოლხეთის ენეოლითური პერიოდის ძლვიმები ნამოსახლარებზე (სამელე კლდე, საგვარჯილე და სხვ.) ათეულობით ნაპოვნი კონუსური ფორმის კვირისტავები, რომელთა ზედაპირი დაფარულია ფრჩხილისებური და სხივისებური ჭდებით. მათ შორის გამოიყოფა ზუსტად ისეთი სახეც, რომელიც გადმოცემულია გულეიკარის კვირისტავების ზედაპირზეც [წებიერიძე 1986: P154, ტაბ. XXIV-34,35,39].

გულეიკარის ნივთთან მიმართებაში საინტერესო უნდა იყოს ნამარნუს ნამოსახლარზე (IV ფენა, ძ.წ. I ათასწლეულის და-საწყისი) გამოვლენილი ზედაპირდაღარული კონუსური ფორმის კვირისტავი [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006:56, ტაბ.XXXII-5]. ანალოგიური არტეფაქტი (ნახევარსფეროსებური ფორმის) დასტურდება ნამჭედურის ნამოსახლარის IV კულტურულ ფენაშიც (ძ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი), რომლის ზედაპირზე ოთხ რიგად დატანილია ნაჭდევი ორნამენტიანი დეკორი [მიკელაძე; ხახუთაშვილი 1985:42, ტაბ.39-15;53-10]. ზედაპირდაღარული კვირისტავების დამზადების ტრადიცია კოლხეთში ელინისტურ ხანაშიც გრძელდება (ნამარნუ II ფენა) [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006:51, ტაბ. XXIII-12,13; XXVIII-14]. თიხის კვირისტავებით ირკვევა, რომ გულეიკარის მოსახლეობის შინა საქმიანობაში ძაფის რთვას, გრეხასა და ქსოვას გარკვეული ადგილი უნდა სჭეროდა.

გულეიკარის ნამოსახლარზე კაჟის ნამგლისჩასართები ორი ფრაგმენტული ერთეულით შემოიფარგლება (ტაბ. XIV-7-9). ერთ მათგანს თითქოს ეტყობა ცალი გვერდის დამუშავება (დაქბილვა). ცხადია ორივე არტეფაქტი უნდა დაუკავშიროთ მინათმოქმედებას, რომელსაც გულეიკარის მოსახლეობის საქმიანობაში ერთ-ერთი გარკვეული ადგილი უნდა სჭეროდა.

სხვა მონაპოვარი მასალებიდან ყურადღებას იპყრობს ოვალური ფორმის, გვერდებზე რამდენადმე წაგრძელებული თიხის ნივთი (სიგრძე 13 სმ, სიგანე 9 სმ, ფაძ. XIV-11). არტეფაქტს გააჩნია ორივე მოპირდაპირე მხარეს გამოყვანილი მრგვალხვრელიანი ყუნწი. ამ ნივთს პრაქტიკული დანიშნულება უნდა ქონდა და იგი ალბათ სამზარეულო საქმიანობაში გამოიყენებოდა. ორივე მხარეს არსებული ხვრელი უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ აქ ჩამოსავიდებლად თასმა ეყრებოდა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ანალოგიური ნივთი კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე არ არის მიკვლეული. პარალელები არც ეთნოგრაფიული მონაცემებითაც მოგვეპოვება.

სხვა მონაპოვარი მასალებიდან ყურადღებას იპყრობს თიხის მცირე ფორმის ბორბალი, რომელიც სავარაუდოდ ურმის თვლის იმიტაციას უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. XIV-8). არტეფაქტი ბრტყელია, გვერდებზე წაკლულია, ცენტრში დატანილი აქვს მრგვალი ხვრელი. ანალოგიური ნივთი, რომელსაც თიხის ბორბალს უკავშირებენ, გამოვლენილია ბათუმის ციხის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურულ ფენაში [კახიძე; ხახუტაიშვილი 1989:29].

ძეგლის მონაპოვარ მასალათა შორის თავისი იშვიათობის გამო, ყურადღებას იპყრობს სულ ქვედა დონეზე აღმოჩენილი ობსიდიანის ანამტვრევი. კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ამ მინერალისგან დამზადებული არტეფაქტები და საბადო უცნობია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნოსირის ნამოსახლარის შუაბრინჯაოს ხანის I კულტურული ფენიდან მომდინარე ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევებს. ამ ფაქტზე დაყრდნობით მიაჩნიათ, რომ ნოსირის ნამოსახლარზე ობსიდიანის მასალა შემოტანილი უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქებიდან, ხოლო ადგილზე მიმდინარეობდა მისი დამუშავება [გოგაძე 1982:74].

გამოვლინდა ლითონის (ბრინჯაოს) სანარმოო საქმიანობას-თან დაკავშირებული გაურკვეველი ნივთების ჩამოსასხმელი, ქვიშაქვისაგან დამზადებული სამი ყალიბის ფრაგმენტი (ტაბ. XIII-1-3). ასევე ამ საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს მონაცრისფრო-აგურისფრად გამომწვარი, კოვზისებური ჩაღრმავებული გამლევალი ლითონის ჩამოსასხმელი თიხის ციცხვი (ტაბ. XIV-12). არტეფაქტს გააჩნია მოკლე სახელური მილისებური ხვრელით, რომელიც ბოლომდე არ გადის. შესაძლოა, სახელურის დასაგრძელებლად ამ ხვრელში რაიმე ნივთს ამაგრებდენ, რათა ლითონჩამომსხმელი საქმიანობისას დამწვრობის მიღებისაგან უფრო დაცულები ყოფილიყვნენ. ასევე სანარმოო საქმიანობას

უნდა მოწმობდეს I.10 მ. სიღრმეზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნაღვენთები.⁴

გულეიკარის ეს აღმოჩენა კიდევ უნდა ადასტურებდეს იმ მოსაზრებას, რომ კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოს სანარმოო სახელოსნოები გამართული უნდა ყოფილიყო სამოსახლო ბორცვებზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. სავარაუდოდ, სანარმოო სახელოსნო ნედლეული მასალებით მარაგდებოდა უახლესი სპილენძის საბადოებიდან. ასეთად კი შეიძლება ჩავთვალოთ ზემო გურიის ტერიტორიაზე ცნობილი ვაკიჯვარის („ქორბუდე“) სპილენძის საბადოები.

კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების დათარიღებისას ერთ-ერთი ნამყვანი მნიშვნელობა ენიჭება თიხის ჭურჭლის (ჰალკეულ სეგმენტებს (ფორმები, ორნამეტაცია, ყურების სახეობები და სხვა). აგრეთვე ამათუ-იმ შესწავლილი ძეგლის მასალების სინქრონიზაციასა და ურთიერთშებირისპირებას კარგად სტრატიფიცირებული ნამოსახლარების (ნახვამუ, ჭალადიდის ზურგა, ნოსირი III, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ნამჭედური, ყულევი და სხვ.) არტეფაქტებთან. დათარიღებისას ძირითადად ვიყენებთ ტრადიციულ მეთოდს და ვიშველიერ ძეგლზე მიღებულ C-14 თარიღებს.

როგორც აღინიშნა, გულეიკარის ნამოსახლარის სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი ორნამეტებით შემკული ხელით ნაძერწი, ძირითადად მაინც შავად და ნაცრისფრად გამომწვარი პროფილირებული და უპროფილო კერამიკა. ასეთი მდიდრული სახით შემკიბა, როდესაც ორნამენტს როგორც წესი დაფარული აქვს თიხის ჭურჭლის ზედა ნაწილი [მიქელაძე 1974:53] ტრადიციულად დამახასიათებელია ძველი კოლხური I ეტაპის (ძვ.წ. XIV-X სს-ები) საფეხურის ძეგლებისათვის: ნახვამუ (შუა, ქვედა ფენა), აბედათის დიხა-გუძუბა, ჭალადიდის ზურგა (ქვედა, შუა ფენა) ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (III,II კულტურული ფენა), ყულევი (II ფენა), ნოსირი III (II, III ფენა), საელიაოს კურზია (II ფენა), წყემი (II ფენა), ნამჭედური (V ფენა), ნამარნუს ჩრდილოეთი ბორცვი, ერგეტას მამულიების დიხა-გუძუბა (III ფენა) და

⁴ ბრინჯაოს სანარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული არტეფაქტები (ტი-გელი, ნაღვენთები) ასევე აღმოჩენილია ნამრნუს ჩრდილოეთი მდებარე საცდელი თხრილებით შესწავლილ წინაანტიკური ხანის ფენაში (ანჯერი I) [პაპუაშვილი 1987:53].

კოლხეთის დაბლობის სხვა ნამოსახლარები [კუფტინ 1950: ტაბ. 47-1,3; 48-1-8, სურ. 48, ტაბ. 61; მიქელაძე 1978:40, ტაბ. II,IV; 1974:53; ფხავაძე 1978: 137-143; მიქელაძე 1990: ტაბ. X-XI; გოგაძე 1982: ტაბ. 37-44; ჯიბლაძე 1997:65-65, ტაბ. I,II,XVI,XVII; 2007:ტაბ. XXVI-1-23, XXVII, XXVIII,LXXXVIII; ბაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2005: ტაბ. XXIII; 2006:62-63,ტაბ.XXXIV-I-11].

გულეიკარის გუძუბას ამ ჯგუფის თიხის ნაწარმში მცირე რაოდენობით გვხვდება ძვ. კოლხური I ეტაპისათვის დამახასიათებელი ფრინველისმკერდისებური, მუხლისებური, მინიატურული თასმაგასაყრელი, ღერო დაღარული ყურები. ძვ.ნ. II ათასწლეულის დასასრულს უნდა მიეკუთვნოს ზოომორფული ყურების ის სახეობა, რომელთაც ახასიათებს ნაკლებად გამოკვეთილი შვერილები და ყურის ზურგის გაფორმება წერტილოვანი დეკორით. ჩამოთვლილი ყურების სახეობები გვხვდება ძვ. კოლხური I ეტაპის როგორც ადრეულ ასევე მოგვიანო საფეხურის სტრატიფიცირებული ძეგლების კულტურულ ფენებში.⁵ ისნი მდიდრული ორნამეტულ სახეებთან ერთად, ამ ეტაპის ერთ-ერთი ნამყვანი და დამახასიათებელი ელემენტებია [კუფტინ 1950: სურ. 48; მიქელაძე 1974:55-56; მიქელაძე 1990: ტაბ. XXXVII; ჯიბლაძე 1997:113-115; 2007:ტაბ. XIX-51,56;XX-27;XXIX-11,12,13; LLLXXXIII-9,10]. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ გულეიკარის ნამოსახლარის მონაზვინ მინაში გამოვლენილ მასალებს ტიპოლოგიური მონაცემებით მიაკუთნებთ ძვ.ნ. XIII-XII, ან XII-XI სს-ებს.

ორიოდე სიტყვით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ძვ. კოლხური I ეტაპის ადრეულ და მოგვიანო საფეხურებად დაყოფაზე, რადგან ეს ხანა უშუალო კავშირშია გულეიკარის ნამოსახლართან. ძვ. კოლხური I ეტაპის მოგვიანო საფეხურის გამოყოფა (ძვ. XI-IX სს-ები) როგორც სტრატიგრაფიული ასევე ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით შესაძლებელი გახდა ფიჩირის ცენტრალური ბორცვის II კულტურული ფენის მასალებზე დაყრდნობით. თავის დროზე ამ საფეხურისთვის ყველაზე

⁵ ასეთ შესაძლებლობას იძლეოდა ფიჩირის ცენტრალური ბორცვის უწყვეტ სტრატიგრაფიულ ჭრილზე თვალის გადევნება. ამ ძეგლის II ფენაში გამოვლენილი მასალები განსხვადებოდა ბორცვის გარშემო შედარებით მოგვიანო პერიოდში (ძვ.ნ. VIII-VII სს-ები) წარმოქმნილ № 2,3,4,8 დაზა-გუძუბებთა არტეფაქტებისაგან, სადაც დომინირებდა ძვ. კოლხური II ეტაპის კერამიკული ნაწარმი.

დამახასიათებელ ნიშნებად ჩაითვალა ვიწრო ზოლიანი კანელურიანი ჭურჭელი, პირის ქობის დაჭდევება, სავარცხლიერის ებური დეკორით ყურის ზურგის გრავირება და სხვა [ჯიბლაძე 1997:115; 2007:115]. ამ საფეხურზე იშვიათადაა უშუალოდ ძვ. კოლხური II ეტაპისათვის დახასიათებელი სოლისებური, რომბული სახე-ებით გაფორმებული თიხის ნაწარმი, ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა, ლილვაკისებურდანაძერწიანი ყურები, ჭურჭლის ყელზე და კორპუსის დასაწყისში შემოვლებული ნათითურ ფოსოიანი ანაბეჭდებიანი სარტყლები და სხვ. ერთეული სახით გვხვდება ჩარხიანი კერამიკა, ვფიქრობთ, რომ ამ საფეხურის ძეგლებისათვის დამახასიათებელ მასალებს ერთგვარი გარდამავალი ადგილი უნდა ეკავით ჩარხიან და უჩარხო თიხის ნაწარმს შორის.

გულეიკარის „დიხა-გუძუბას“ კერამიკული მონაპოვრის მეორე ნაწილი ძველი კოლხური კულტურის II ეტაპით – ძვ.წ. X-VII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ამ საფეხურის განმსაზღვრელი ნიმუშები ჩარხზეა დამზადებული. როგორც ცნობილია, კოლხეთში ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი მასობრივად ძველი კოლხური კულტურის II ეტაპისათვის არის დამახასიათებელი. ამ პერიოდში იწყება კერამიკული ნაწარმის სერიული წარმოება. გვიანდპირინჯაოს საწყის ეტაპთან შედარებით (ძვ. კოლხური I ეტაპი) ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კერამიკა უფრო მდარე ხასიათის ხდება. ორნამეტული სახეები უფრო მწირე და ერთგვაროვანია [ოქროპირიძე; ბარამიძე 1974:103-104]. ძველი კოლხური კულტურის II ეტაპზე თიხის ნაწარმი განიცდის ფორმალურ ცვლილებებს. ჩნდება ახალი ტიპის კანელურებით შემკული ჭურჭელი. იგი ამ ეტაპის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია [გოგაძე 1982:67]. წინა საფეხურთან შედარებით ძვ. კოლხურ II ეტაპზე ორნამენტი უფრო დარიბია.

გულეიკარის ნამოსახლარზე როგორც ფართო, ასევე ვიწრო ზოლიანი კანელუროვანი თიხის ჭურჭელი, ჩარხიანი კერამიკის სხვა ელემენტებთან ერთად, გავრცელებულია ორივე ჰორიზონტზე, მაგრამ ძირითადად ისინი კონცენტრირებულია ზედა პორიზონტზე. უნდა ითქვას, რომ მათი პროცენტული რაოდენობა ქვედა ჰორიზონტზე შედარებით კლებულობს. გვხვდება მათი გადმოცემა როგორც ცალკე, ასევე სხვა სახის ორნამენტულ მოტივებთან ერთად კომბინირებული სახით.

კანელურებით გაფორმებული თიხის ნაწარმი დასტურდება კოლხეთის დაბლობის თითქმის ყველა ძვ. კოლხურ II ეტაპის ნამოსახლარზე. ისინი ამ ეტაპის ძირითადი და წამყვანი ელემენტია. ამ დეკორის სახეობაში ზოგჯერ შესაძლებელი ხდება

ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა. კერძოდ, ვიწრო ზოლიანი კანელურიანი ჭურჭელი უფრო დამახასიათებელი ჩანს ძვ. კოლხური I ეტაპის მოგვიანო საფეხურისათვის, ხოლო ფართოზოლანი კი ძვ. კოლხური II ეტაპის კერამიკისათვის [ჯიბლაძე 1997:114-115].

გულეიკარის „ნაეკლესიარის“ ბორცვზე ძველკოლხური II ეტაპის კერამიკას კეცის ფაქტურისა და დეკორის მიხედვით, ასევე კარგად ათარიღებს დიდი ზომის ჭურჭლის (ქვევრები, დერგები) ფრაგმენტები; ქოთნისებური ფორმის ჭურჭელი, რომელთაც ყელზე და კორპუსის დასაწყიში ჰორიზონტალურად შემოყოლებული აქვს ირიბად დატანილი მარცვლოვანი ჭდეები და კონცენტრული ღარები. გულეიკარის თიხის ნანარმს ძველ კოლხური II ეტაპით ასევე კარგად საზღვრავს ლივლაკისებურ-დანაძერნიანი და ორკაპა ნაბეღლილი ტოტის მაგვარი ყურები, რომლებიც ჩარჩიან კერამიკას ახლავს.

ამრიგად, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გულეიკარის ბორცვის მონაზვინ და წინაანტიკური ხანის ფენაში აღმოჩენილი კერამიკა კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების პარალელური მასალების გათვალისწინებით ზოგადად უნდა დათარიღდეს ძვ.წ. XIII-XI და X-VIII სს-ებით.

Leri Jibladze, Bidzina Murvanidze, Giorgi Chubinishvili

Guleikari Old Settlement

Summary

In the Abasha Municipality, village Guleiskari, on the left bank of the River Rioni is located artificial hill - old settlement known as “Naeklesiari”. One cultural layer of pre-classic era containing two construction horizons had been identified. On the top of the hill and on the ground level, had been outlined earlier period Old Colchian Type materials. Apparently they were layout on the hill as a result of laying the cut out land, while carrying out periodic renewal of the settlement by residents of later periods.

The obtained materials are mainly represented by ceramics; also we found grinders, grindstones, stone rods of fishing grid, clay Spindle whorl, flint sickle insertions, the artifacts of bronze production activities etc.

The old buildings remains are fragmentary. In accordance with the similar materials of the other settlements of Kolkheti lowland, the Guleikari hill can be dated XIII-XI and X-VIII centuries BC.

ლიტერატურა

- ადამია ალ. 1979: კოლხური წნული სახლები, ძმ, 49, გვ. 27-50.
- აფაქიძე ჯ. 2001: კოლხეთის გვიანდრინჯაოსა და რეინის ხანის დასახლებათა ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხები. კავკასიის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი VI დამატება), თბილისი.
- გოგაძე ელ. 1982: კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რეინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბილისი.
- გრიგოლია გ., ოქროპირიძე ნ., ჯაფარიძე ბ., წირლვავა კ., ჩართოლანი შ. 1972: დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წ., თბილისი, გვ. 29-31.
- გრიგოლია გ. 1973: ბარბაროსების დიდი ქალაქის ლოკალიზაციისათვის, ძმ, №33, თბილისი, გვ. 50-58.
- კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. 1989: მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, სდსд XVII, თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1986: არგონავტიკა და ძველი კოლხეთი.
- მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიდან, თბილისი.
- მიქელაძე თ. 1978: არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბილისი.
- მუსხელიშვილი დ; ჯიბლაძე ლ; პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2010, ანაკლია II, თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 1986: დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბილისი.
- ოქროპირიძე ნ; ბარამიძე მ. 1974: პალურის საძვლე (1969 წლის მუშაობის შედეგები, მსკა V, თბილისი, გვ. 96-120.
- პაპუაშვილი რ. 1987: არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე (1983-1986 წწ), ძმ № 4, გვ. 51-53.
- პაპუაშვილი რ. 1999: გულეიკარის არქეოლოგიური ძეგლები. მილსადენის არქეოლოგია, ტ I, თბილისი, გვ. 99-103.
- პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2001: ნამარნუს ადრექტისტიანული ხანის ძეგლები, გურია III, თბილისი, გვ. 107-187.
- პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2005: კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. ერგეტა, თბილისი.

- პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2006: ნამარნუ (ძვ.წ. II-I ათას- წლეულის ძეგლები), გურია IV, თბილისი, გვ. 46-66.
- რამიშვილი ალ. 1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ის- ტორიიდან, ბათუმი.
- ხახუტაიშვილი ნ. 1986: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ად- რერკინის ხანაში. სდსძ VIII, თბილისი.
- ფხავაძე გ. 1978: მასალები აბედათის დიხა-გუძუბადან, მსკა VI, თბილისი, გვ. 137-143.
- ჯიბლაძე ლ. 1997: კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნა- მოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია პერი- ოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასა- ლების მიხედვით), თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათას- წლეულების ნამოსახლარები, თბილისი.
- ჯიბლაძე ლ; პაპუაშვილი ნ. 2007: კლასიკური ხანის მასალები ანაკლია მეორედან. კრებული იბერია-კოლხეთი № 3, თბილისი, გვ. 100-112.
- ჩიქოვანი თ. 1999: ჯარგვალური სამშენებლო ტიპის კავკასიური არეალი, ძიებანი № 3, თბილისი, გვ. 85-90.
- ჩუბინიშვილი კ. გულევიკარის 2006 წლის არქეოლოგიური ექს- პლატფორმის ახგარიში, ხელხანერი.
- Апакидзе А, Бурчуладзе А. 1987: Радиоуглеродное датирование ар- хеологических и палеоботанических образцов Грузии. Тбилиси.
- Куфтин Б. 1950: Материалы к археологии Колхиды, том II, Тбилиси
- Микеладзе Т. 1982: Основные результаты полевых исследований Колхидской археологической экспедиции. ПАИ в 1980 г., Тбилиси, стр. 31-35.
- Микеладзе Т; Хахутаишвили Д. 1985: Древнее Колхидское поселение Намчедури, Тбилиси.
- Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н. 1987: О работах Кол- хидской археологической экспедиции. ПАИ в 1984-1985 гг., Тбилиси стр. 39-42.
- Микеладзе Т. 1990: К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тбилиси.
- Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н. 1991: Колхидская экспедиция, ПАИ в 1986 г., Тбилиси, стр. 59-65.
- Микеладзе Т. 1994: Протоколхская культура. Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии. Москва, стр.67-74.


ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I	1. სოფ. გულეიკარისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუქა, მილსადენის ტრასა; 2. გულეიკარის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ძეგლები;
ტაბ. II	A. გულეიკარის ბორცვის სიტუაციური გეგმა; B, C. თხრილის გეგმა, ჭრილი;
ტაბ.III	A,B,C, D,E. ცენტრალური თხრილის IV სექტორში დაფიქსირებული სტრატიგრაფიული ჭრილები C-3-8 კვადრატების მიხედვით;
ტაბ. IV	1. საკონტროლო თხრილის დაღრმავების პროცესი; 2. საკონტროლო თხრილში დაფიქსირებული ქვაყრილი;
ტაბ. V	1-11. ძვ. კოლხური I ეტაპის პირმოყრილი თიხის ჭურჭელი მონაზვინი ფენიდან;
ტაბ. VI	1-6 და 7-16. პირმოყრილი და სწორპირიანი თიხის ჭურჭელი მონაზვინი ფენიდან;
ტაბ.VII	ძვ. კოლხური I ეტაპის ორნამეტით შემკული ქოთისებური ტიპის ჭურჭელი;
ტაბ. VIII.	1-8. გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ყურების ნიმუშები, ზოგჯერ პირგვერდის ფრაგმენტებით;
ტაბ. IX	1-9. ქოთისებური მოყვანილობის ჭურჭელი წინაანტიკური ხანის კულტურული ფენიდან;
ტაბ. X	ძვ. კოლხური II ეტაპისა (1-4,7,8,10,12,13) და ადრეანტიკური ხანის არტეფაქტები (5,6,9,11);
ტაბ. XI	ჯამისებური და ფიალისებური ფორმის ჭურჭელი მონაზვინი (3-6) და წინაანტიკური (1,2,7,8) ხანის ფენიდან;
ტაბ. XII	ზორმორფულ-ყურები, ზოგჯერ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად, მოხაზვინი და წინაანტიკური ხანის ფენიდან;
ტაბ. XIII	1-3.-გაურკვეველი დანიშნულების ჩამოსასხმელი ქვის ყალბები; 4. დამუშავებული ქვის ნივთი; თიხისა (6) და ქვის (5,7) თევზის საჭერი ბადის ჩასაბმელი საწაფები; 8. შურდულის ქვა წინაანტიკური ხანის ფენიდან;
ტაბ. XIV	1,3, 4-6. კვირისტავები; 7. თიხის ბორბლის იმიტაცია; 8,9. კაჭის ისრისპირები; 10. სალესი ქვა; 11. თიხის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი; 12. გამლლვალი ლითონის ჩამოსასხმელი თიხის ციცხვი წინაანტიკური ხანის ფენიდან.


შემოკლებათა განმარტება

მსკა	მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის
სდსძ	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები
სმამ	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
ძმ	ძეგლის მეგობარი .
ПАИ	Полевые археологические исследования

I




1




2

II



III






1




2


V





VI




VII











XI



XII



XIII

